# ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

## დაბა ქედა

განკარგულება:**g-95. 95230601**

თარიღი:**01/03/2023**

**ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ**

თვითმმართველი თემის - ქედის მუნიციპალიტეტის სახელზე საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით რეგისტრირებულია ქედის მუნიციპალიტეტი, დაბა ქედაში მდებარე 3450 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №21.03.33.500).

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო 2023 წლის 22 თებერვლის №5/10130 წერილით ითხოვს ზემოთ დასახელებულ უძრავი ქონებების, სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემას, შემდგომში საქართველოს შენაგან საქმეთა სამინისტროსათვის სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით.

ზემოთაღნიშნული გარემოების გათვალისწინებით ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მოთხოვნა ზემოთ დასახელებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით გადაცემის შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტისა და 108-ე მუხლის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1.სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემული იქნას ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული - ქედის მუნიციპალიტეტი, დაბა ქედაში მდებარე 3450 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №21.03.33.500).

2.ეთხოვოს სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს უზრუნველყოს წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით გადაცემული ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია და მისი მიღებისათვის საჭირო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიების გატარება.

3.განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

4.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

5.განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ამირან ცინცაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი